

ლო დამატება (თანდებულიანი სახელი), რომელიც არასწორ შესიტყვებას ქმნის. იხ. ზემოთ მოყვანილ წინადადებებში: **ბავშვობისადმი** [თუ ბავშვობის?] **ნოსტალგია** და მშვიდობიან **ცხოვრებაზე** [თუ ცხოვრების?] **ნოსტალგია...** ასევე შეუფერებელია ამ სიტყვასთან ატრიბუტული მსაზღვრელის — **მშობლიურის** — ხმარება. მაგ.: „პეტრას სცივა და თვალებში **მშობლიური ნოსტალგია** ცრემლად უბრწყინავს“ („ლიტ. საქ.“).

მ

ოსტატი. არსებით სახელს **ოსტატს**, პირდაპირ მნიშვნელობასთან ერთად (რაიმე ხელობის კარგად მცოდნე, დახელოვნებული ხელოსანი), აქვს გადატანითი მნიშვნელობაც: რაიმე საქმის კარგად მცოდნე, გამოცდილი, დახელოვნებული ადამიანი. ამ მნიშვნელობით **ოსტატი** იხმარება რამდენიმე გამოთქმაში: **სცენის ოსტატი**, **სიტყვის ოსტატი**, **მხატვრული კითხვის ოსტატი** და მისთ. ჩამოთვლილ შესიტყვეებში სიტყვა **ოსტატი** ყველგან აღნიშნავს ხელოვნების ერთ რომელსავე დარგში გაწიფულს და დახელოვნებულ პირს — მსახიობს, მომღერალს, დეკლამატორს და ა. შ.

სულ რამდენიმე ათეული წელია, **ოსტატი** მჭიდროდ (თუმცა არცთუ მარჯვედ) დაუკავშირდა კიდევ უფრო ზოგად სახელს — **ხელოვნებას**: **ხელოვნების ოსტატი**. მაგრამ მიღებული შეხამების მნიშვნელობა დიდად არ გაფართოებულა, პირიქით, ერთგვარად დაეიწროვდა კიდევ: ძირითადად სცენაზე, ესტრადაზე გამომსვლელ მუსიკოს-შემსრულებელს აღნიშნავს (მომღერალს, მოცეკვავეს, ინსტრუმენტალისტს...). ამ შეხამებამ გარკვეულ კონტექსტებში არსებითად გამოდევნა ადრევე შექმნილი მყარი შესიტყვებები: **ხელოვნების მუშაკი** და **ხელოვნების მოღვაწე**, რომელთა მნიშვნელობა ამჟამად, როგორც ჩანს, უფრო გაფართოებულია: გულისხმობს ხელოვნების ორგანიზატორებსაც — ხელოვნების სფეროში მომუშავე ადმინისტრაციულ და, არცთუ იშვიათად — ტექნიკურ პერსონალსაც კი. უდრ., ერთი მხრივ: **ხელოვნების ოსტატთა** (და არა **ხელოვნების მოღვაწეთა ან მუშაკთა**) **კონცერტი** და, მეორე მხრივ: **ხელოვნების მუშაკთა სახლი**.

ბოლო ხანების ქართულ პრესაში გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი შეხამება — **კულტურის ოსტატი (ოსტატები)**. გაჩნდა იგი საიუბილეო თარიღის — გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოში რუსი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. მაგ.: „**კულტურის ოსტატთა** პატივსაცემად“ („კომ.“ — სათ.); „საქართვე-

ლოსა და რუსეთის კულტურის ოსტატთა მეგობრობის შესახებ სიტყვა წარმოთქვეს სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა...“ („კომ.“). ვინაიდან კონკრეტულ ხელოვან-შემსრულებლებთან ერთად ამ გამოთქმაში ზოგადად შემოქმედნი იგულისხმებიან — მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები, არქიტექტორები და, აგრეთვე, მეცნიერები, სიტყვა ხელოვნებამ ვეღარ დაიტია ახალი, ფართო შინაარსი და შეიცვალა კულტურა სიტყვით. მაგრამ ეს უკანასკნელი შეუფერებელი აღმოჩნდა ოსტატ-სიტყვასთან შეხამებისას. თუ გავითვალისწინებთ, რომ კულტურა, ჩვენთვის საინტერესო — ინტელექტუალურ-სულიერი — თვალთახედვით, არის „საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა მეცნიერებასა და ხელოვნებაში“ (ქეგლ), ამჟამად გახდება, რომ ინოვაციური შესიტყვება — კულტურის ოსტატი — გაუმართლებელი, უხერხული გამოთქმაა. ამიტომ მიზანშეწონილია იგი შეიცვალოს გამოთქმიდან — კულტურის მოღვაწე; შეიძლება კულტურის მუშაკიც, მაგრამ ამ უკანასკნელს (რომელიც შემოკლებით კულტმუშაკადაც იწოდება) ბოლო ხანებში იმდენად დაუვიწროვდა მნიშვნელობა, რომ სინამდვილეში ეს გამოთქმა სწორედ ჭეშმარიტ შემოქმედ ხელოვანთ, დიდოსტატებს აღარ გულისხმობს.

მარჯვე შესიტყვების ნიმუშად ვერც კომედიის ოსტატი გამოდგება (ეს. საგაზეთო სტატიის სათაური: „კომედიის უბადლო ოსტატი“ [აჯობებდა: უბადლო კომიკოსი] („კომ.“). ეს შესიტყვება მიღებული ჩანს ბოლო ხანებში ფეხმოკიდებულ გამოთქმის — სიცოცხლის ოსტატის ანალოგიით. კომედიის ოსტატი, ტრაგედიის ოსტატი იგივეა, რაც შესაბამისად: კომიკოსი, ტრაგიკოსი: იგულისხმება, რომ ამ მსახიობთა ამპლუაჟა კომიკური თუ ტრაგიკული როლების შესრულება (და არა თვით კომედია ან ტრაგედია). მაშასადამე, ოსტატობაც ამ ცნებებში თავისთავად იგარაუდება, რაც ზედმეტს, ორნამენტულს ხდის ოსტატ-სიტყვის ხმარებას.

კიდევ უფრო შეუფერებელია სიტყვათშეხამება აზროვნების ოსტატი: „მსახიობი ქალის საუკეთესო ნამუშევრებს მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კრიტიკული აზროვნების გამოჩენილმა ოსტატებმა... [აჯობებდა: გამოჩენილმა კინოკრიტიკოსებმა, თეატრალურმა კრიტიკოსებმა]“ („კომ.“).

ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო. ნაცვლად შესიტყვებებისა: ოქროს მედალი, ვერცხლის მედალი, ბრინჯაოს მედალი ხშირად იხმარება ამ გამონათქვამთა მხოლოდ პირველი კომპონენტი — მსაზღვრელი სახელი, ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო. ე. ი. ერთ სიტყვამდე დაყვანილი მთელი შესიტყვება. ასეთი ხმარება ამ სიტყვებისა გახშირდა თანამედროვე პრესის სპორტული მასალების ენაში. მაგ.: „ოქრო მოიპოვა

ა. შიშონკომ“ („ლელო“); „უენდენმა სამი ოქრო მოიხვეჭა“ („ლელო“); „სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ჩემპიონატზე ოქროს მაძიებელთა შორის ჩვენი რესპუბლიკიდან მხოლოდ ა. მეტრეველი შემორჩა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „თავი გამოიჩინეს საბჭოთა მოციგავე ქალებმა... ზოზულიამ (ოქროს მედალი) და ...ამინტოვამ (ბრინჯაო).“ („ლელო“); „ნონას მეოთხე ოქრო“ („თბილ.“ — სათ.); „კლასიკოსების“ (=კლასიკური კიდაობის მონაწილეთა) ხუთი ოქრო („კომ.“ — სათ.)...

ჩანს, უზერხულობის თავიდან ასაცილებლად ცალად ნახმარ მსაზღვრელ სახელებს ოქრო(სი), ვერცხლი(ს), ბრინჯაო(სი) ბრჭყალებში სვამენ. მაგ.: „ეს მისი სარაევოში მოპოვებული მეორე „ბრინჯაოა“. „ოქრო“ და „ვერცხლი“ კი ისევ გდრ-ის წარმომადგენლებს ხვდათ“ („ლელო“); „მედლების ყველაზე დიდი კოლექცია აქვს... ინჟინერ-მთამსვლელ ს. ეფიშოვს, რომლის „კოლექცია“ სულ ახლახანს (!) მეხუთე „ოქროთი“ შეიქმნა“ („ლელო“); „ამ ჯგუფში „ბრინჯაო“ მოიპოვა თბილისელმა მოსწავლემ“ („ლელო“).

ქართული ენის ბუნებას არ შეესაბამება ოდენ მსაზღვრელის, ზედსართავის ხმარება მთელი შესიტყვების ნაცულად.

პ

პასუხისმგებელი — **პასუხსაგები** პარონიმული სახელებია, ფორმით მსგავსნი, შინაარსით განსხვავებულნი. ენაში მათი მოხმარების სფეროები მკვეთრადაა გარჩეული.

პასუხისმგებელი აქტიური მიზნობაა, ნიშნავს: ვისაც პასუხისმგებლობა აკისრია, ვინც პასუხს აგებს. არსებობს გამოთქმები: **პასუხისმგებელი პირი**, **პასუხისმგებელი მუშაკი**, **პასუხისმგებელი მდივანი**, **პასუხისმგებელი რედაქტორი**...: „ვამზადებთ ამომრჩეველთა შეხვედრას აღმასკომის **პასუხისმგებელ ხელმძღვანელ მუშაკებთან**“ („თბილ.“); „სიტყვით გამოვიდა ჟურნალ „პიონერის“ **პასუხისმგებელი რედაქტორი**“ („ახ. კომ.“)... **პასუხისმგებელი**, წესისამებრ, მხოლოდ ადამიანის (ადამიანთა) სახელს შეიძლება დაუკავშირდეს. წინადადებაში — „მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო **პასუხისმგებელი** და ანგარიშვალდებულია მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე“ („სსრკ კონსტ.“) — ამ სიტყვასთან დაწყვილებულ არსებით სახელში **საბჭო** რეალურად ადამიანთა ჯგუფი იგულისხმება და ამიტომ აქაც ბუნებრივი და სტილისტიკურად სწორი შეხამება გვაქვს. სწორია შესიტყვება **პასუხისმგებელი ფერმენტიც** ქვემოთ დამოწმებულ წინადადებაში, რადგან აქ მსჯელობის შინაარსის მიხედ-